



ISSN 0203—2023

ბროლიტარაგმის
გეგმვისა და

უვალვა

ქვეყნისა,

შეერთებით

საქართველოს

საბჭოთა

სოციალისტური

რესპუბლიკის

№ 12

1 9 8 7

უვალვისი საბჭოს

უვალვისი

საქართველოს სსრ უვალვისი საბჭოს გეგმვა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის



უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 12 (508)

ლექსები

1987 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

ბანყოფილება პირველი

- 316. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი გაზრდისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 25 ივლისის № 876 დადგენილების შესრულების ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 14 ოქტომბრის № 677 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
- 317. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.
- 318. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება აშ. პ. გ. გველეხიანის საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრის მოადგილედ დანიშვნის შესახებ.
- 319. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო, შრომა-გასწორების და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.



- 320. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება „სახელმწიფო წარმოს (გაერთიანების) შესახებ“ სსრ კავშირის კანონთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე.
- 321. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის კოლეგიის შექმნის შესახებ.
- 322. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის სახელმწიფო არბიტრების დანიშვნის შესახებ.
- 323. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.
- 324. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ამხ. გ. ა. ტურაშვილისა და ა. ბ. წაბრიას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებად არჩევის შესახებ.

ბანუოფილება მიორე

- 325. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. რ. ს. ელიფულაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
- 326. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ზ. მირიანაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
- 327. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. მ. ი. წიკლაურის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
- 328. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. ა. ევანიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
- 329. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს გ. მ. ნათაძის სახელობის სანიტარიისა და პიგიენის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
- 330. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. თ. ვ. გოგუაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
- 331. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ტ. ე. მონიავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
- 332. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. ი. ქოქიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.



333. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება აშხ. გ. ე. ნიჭიანი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
334. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ენგურჰეს-სტაერო-პოლსრესის 500 კვ მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის აღდგენისას განსაკუთრებით თავგამოჩენილი მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
335. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
336. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება აშხ. ბ. ჰ. მახარაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
337. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება აშხ. ჯ. გ. მხეიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
338. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება აშხ. გ. ბ. ნაწყვიბაის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
339. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება აშხ. ი. გ. ჩაღუნელის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.
340. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მცირე სიმძლავრის ელექტრული მანქანების ტექნოლოგიის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.
341. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მედიცინის მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
342. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მედიცინის მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
343. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება მედიცინის მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული პროფიზორის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
344. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება რესპუბლიკის ფოლკლორული ხელოვნების მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.
345. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ენგურჰეს-სტაერო-პოლსრესის 500 კვ მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის აღდგენისას განსაკუთრებით თავგამოჩენილ მუშაკთათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ.

346. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. გ. ლ. კოტეხიძის სათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.
347. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ამხ. ნ. ს. კოლოკავასათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

განყოფილება მისამი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ზ. დ. პაპავას დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლებაზე დასტურის შესახებ.

ანბანურ-საგნობრივი საძიებელი.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა.

განყოფილება პირველი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება

316 „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესახებ“ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის სახალხო დემოკრატია საბჭოების როლის შემდგომი გაზრდისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 25 ივლისის № 876 დადგენილების შესრულების ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 14 ოქტომბრის № 677 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

მიღებულ იქნეს თბილისის სახალხო დემოკრატია საქალაქო საბჭოს აღმასკომის წინადადება და „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესახებ“ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის სახალხო დემოკრატია საბჭოების როლის შემდგომი გაზრდისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 25 ივლისის № 876 დადგენილების შესრულების ღონისძიებათა თაობაზე“ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1986 წლის 14 ოქტომბრის № 677 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად მე-5 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის აბზაცი:

„დ) გავრცელდეს „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებში გათვალისწინებული უფლებები თბილისის სახალხო დემოკრატია საქალაქო საბჭოს აღმასკომზე“.

საქართველოს კომპარტიის
ცენტრალური
კომიტეტი

საქართველოს სსრ
უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმი

საქართველოს სსრ
მინისტრთა
საბჭო

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

317 საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევა-
თა კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესა-
ხებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძა-
ნებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

„საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 3 აგვისტოს ბრძანებულების (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1987 წ., № 8, მუხ. 207) მე-7 მუხლის რედაქციით ჩამოყალიბებულ საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 209-ე მუხლის პირველ ნაწილში ციფრები „185-191-ე“ შეიცვალოს ციფრებით „190-ე, 191-ე“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 15 დეკემბერი.

№ 1527—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

318 ამხ. პ. გ. გველესიანის საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო
არბიტრის მოადგილედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

დაინიშნოს ამხ. პაატა გიორგის ძე გველესიანი საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრის მოადგილედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 17 დეკემბერი.

№ 1528—XI

საპარტველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით

319 საპარტველოს სსრ სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო, შრომა-გასწორების და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ

„სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძვლებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1987 წლის 12 ოქტომბრის ბრძანებულების შესაბამისად, აგრეთვე საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები საქართველოს სსრ შემდეგ საკანონმდებლო აქტებში:

1. საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. 10; 1982 წ., № 5, მუხ. 130 და № 12, მუხ. 371):

1. 23-ე მუხლის მესამე ნაწილს სიტყვების „სხვაგვარ პარაზიტულ ცხოვრებას“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „ბოროტად თავს არიდებენ ალიმენტის გადახდას ან შვილების რჩენას, აგრეთვე არღვევენ საპასპორტო სისტემის წესებს“.

2. 33¹ მუხლის:

მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„იმ პირისათვის სასჯელის დანიშვნისას, რომელიც მსჯავრდებულია მაწანწალობის ან მათხოვრობის ანდა სხვაგვარი პარაზიტული ცხოვრებისათვის თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან ორ წლამდე, ალიმენტის გადახდის ან შვილების რჩენისათვის ბოროტად თავის არიდებისათვის, ანდა საპასპორტო სისტემის წესების დარღვევისათვის თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე, სასამართლოს, საქმის გარემოებათა და ბრალეულის პიროვნების გათვალისწინებით, შეუძლია თავისუფლების აღკვეთის ნაცვლად გამოიყენოს სასჯელი იმავე ვადით შრომა-აღმზრდებლობის პროფილაქტორიუმში გაგზავნის სახით“.

მეექვსე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თუ მსჯავრდებული შრომა-აღმზრდებლობის პროფილაქტორიუმში ყოფნის სასამართლოს მიერ განსაზღვრული ვადის განმავლობაში ჩაიდენს დანაშაულს, სასამართლო მას სასჯელს დაუნიშნავს ამ კოდექსის 41-ე და 42-ე მუხლებით გათვალისწინებული წესებით“.

3. 203² მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 203²**. შრომა-გასწორების დაწესებულებებში, საგამოძიებო იზოლატორებში, შრომა-აღმზრდელობითს, სამკურნალო-შრომითს და სამკურნალო-აღმზრდელობითს პროფილაქტიკორიუმებში მოთავსებული პირებისათვის აკრძალული საგნების უკანონოდ გადაცემა

შრომა-გასწორების დაწესებულებებში, საგამოძიებო იზოლატორებში, შრომა-აღმზრდელობითს, სამკურნალო-შრომითს და სამკურნალო-აღმზრდელობითს პროფილაქტიკორიუმებში მოთავსებული პირებისათვის ალკოჰოლური სასმელების, გამაბრუნებელი მოქმედების მქონე სამკურნალწამლო ან სხვაგვარი ნივთიერებების, აგრეთვე გადასაცემად აკრძალული სხვა საგნების გასინჯვისაგან ფარულად გადაცემა ან ნებისმიერი საშუალებით გადაცემის მცდელობა, ჩადენილი ასეთივე მოქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების შემდეგ, ან სისტემატურად, ანდა დიდი ოდენობით, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით, ან ჯარიმით სამას მანეთამდე“.

II. საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. 11) 323-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მეორე ნაწილი:

„შრომაში სავალდებულო ჩაბმით პირობით თავისუფლების აღკვეთისას სასამართლოს, პიროვნებისა და საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, უფლება აქვს განსაჯელი გაათავისუფლოს პატიმრობიდან“.

III. საქართველოს სსრ 1971 წლის 9 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ შრომა-გასწორების კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1971 წ., № 12, მუხ. 202; 1977 წ., № 4, მუხ. 43; 1982 წ., № 5, მუხ. 121; 1985 წ., № 9, მუხ. 325):

1. მე-6 მუხლის მეორე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავისუფლების აღკვეთით პირველად მსჯავრდებულები, რომლებიც დაპატიმრებამდე ცხოვრობდნენ ან მსჯავრდებული იყვნენ საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, სასჯელს, როგორც წესი, იხდიან საქართველოს სსრ ფარგლებში. მსჯავრდებულთა უფრო წარმატებით გამოსწორებისა და ხელახალი აღზრდის მიზნით ისინი სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ სსრ კავშირის პროკურატურასთან შეთანხმებით განსაზღვრული წესით, სასჯელის მოსახდელად შეიძლება გაიგზავნონ სხვა მოკავშირე რესპუბლიკის შესაბამის შრომა-გასწორების დაწესებულებებში“.

2. მე-16 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„განსაკუთრებულ შემთხვევებში არამძიმე დანაშაულისათვის პირველად მსჯავრდებულები, რომლებსაც სასჯელის მოხდა დანიშნული აქვთ საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიებში, აგრეთვე მძიმე დანაშაულისათვის სამ წლამდე ვადით პირველად მსჯავრდებულები მათი თანხმობით შეიძლება დატოვებულ იქნენ საპყრობილეში ან საგამოძიებო იზოლატორში სამეურნეო

მომსახურების სამუშაოებისათვის. ასეთ მსჯავრდებულთა დატოვება ფორმალურადაა საპრობილის ან საგამოძიებო იზოლაციის უფროსის ბრძანებით მსჯავრდებულის წერილობითი თანხმობის არსებობისას“.

3. მე-18 მუხლის მეორე ნაწილის მეორე წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სხვა მსჯავრდებულთაგან იზოლირებულად, აგრეთვე განცალკევებით ათავსებენ განსაკუთრებით საშიშ სახელმწიფო დანაშაულისათვის მსჯავრდებულთ; საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 54-ე მუხლის მეექვსე ნაწილში, 54¹ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებში ჩამოთვლილ დანაშაულთათვის მსჯავრდებულ განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებს, აგრეთვე თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის მოხდის პერიოდში ჩადენილი დანაშაულისათვის მსჯავრდებულ განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებს; სხვა დანაშაულისათვის მსჯავრდებულ განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებს; მსჯავრდებულებს, რომლებსაც სიკვდილით დასჯა შეწყალების ან ამნისტიის წესით შეეცვალათ თავისუფლების აღკვეთით“;

ამავე მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ამ მუხლით დადგენილი მოთხოვნები მსჯავრდებულთა განცალკევებით მოთავსების შესახებ არ ვრცელდება თავისუფლების აღკვეთის ადგილების სამკურნალო დაწესებულებებსა და ინფექციური სნეულებით დაავადებულ მსჯავრდებულთა მოთავსებისა და მკურნალობისათვის განკუთვნილ შრომაგასწორების კოლონიებზე. დასახელებულ კოლონიებში გასაგზავნ პირებს მოთავსებენ სასამართლოს მიერ დანიშნული სახეობის კოლონიის რეჟიმის პირობებში. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძვლების მე-13 მუხლის შესაბამისად ამ კოლონიებში, აგრეთვე სამკურნალო დაწესებულებებში მოთავსების წესებს ადგენს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო სსრ კავშირის პროკურატურასთან შეთანხმებით“.

4. 23-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიებში სასჯელს იხდიან მამაკაცები, რომლებსაც არამძიმე დანაშაულისათვის პირველად მიესაჯათ თავისუფლების აღკვეთა, გარდა 25-ე მუხლის მეოთხე ნაწილის მესამე აბზაცში მითითებულ დანაშაულთათვის მსჯავრდებულებისა, აგრეთვე თავისუფლებააღკვეთილი ქალები, გარდა იმ ქალებისა, რომლებიც ცნობილი არიან განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებად ან რომლებსაც სიკვდილით დასჯა შეწყალების ან ამნისტიის წესით შეეცვალათ თავისუფლების აღკვეთით“.

5. 26-ე მუხლის მეორე ნაწილს სიტყვების „იზოლაციის პირობებში“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „ან ჩვეულებრივ საცხოვრებელ სადგომებში“.

6. კოდექსის ქართული ტექსტის 30-ე მუხლის მესამე ნაწილს სიტყვების „წინათ მოიხადეს“ შემდეგ დაემატოს სიტყვა „საპრობილეში“.



7. 34-ე მუხლის მეორე ნაწილს სიტყვის „საერთო“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „ან გაძლიერებული“.

8. 39-ე მუხლში:

პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თვრამეტი წლის ასაკს მიღწეული მსჯავრდებულები ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის, ნასამართლობის რაოდენობის, მსჯავრდებულის პიროვნებისა და ყოფაქცევის გათვალისწინებით სასჯელის შემდგომი მოხდისათვის შრომა-აღმზრდელობითი კოლონიებიდან გადაპყავთ საერთო ან გაძლიერებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში“.

დაემატოს მუხლს შემდეგი შინაარსის მეორე ნაწილი:

„თვრამეტი წლის ასაკს მიღწეული მდედრობითი სქესის მსჯავრდებულები სასჯელის შემდგომი მოხდისათვის საერთო რეჟიმის შრომა-აღმზრდელობითი კოლონიიდან გადაპყავთ საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში“;

მეორე ნაწილი ჩაითვალოს მესამე ნაწილად.

9. მე-40 მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „როგორც წესი, რჩებიან“ შეიცვალოს სიტყვებით „შეიძლება დატოვებულ იქნენ“.

10. 41-ე მუხლში:

მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მსჯავრდებულებს, რომლებიც სასჯელს იხდიან განსაკუთრებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიებში, ათავსებენ საკნის ტიპის სადგომში ან ჩვეულებრივ საცხოვრებელ სადგომში და აცემენ სპეციალური ნიმუშის ტანსაცმელს. საკნის ტიპის სადგომებში ათავსებენ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 54-ე მუხლის მეექვსე ნაწილში, 51^ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებში ჩამოთვლილ დანაშაულთათვის და თავისუფლების აღკვეთის სახით სასჯელის მოხდის პერიოდში ჩადენილ დანაშაულთათვის მსჯავრდებულ განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტებს, აგრეთვე მსჯავრდებულებს, რომლებსაც სიკვდილით დასჯა შეწყალების ან ამნისტიის წესით შეიცვალათ თავისუფლების აღკვეთით“;

დაემატოს მუხლს შემდეგი შინაარსის მეცხრე ნაწილი:

„აუცილებელ შემთხვევებში შრომა-გასწორების დაწესებულების ადმინისტრაციას უფლება აქვს გასინჯოს შრომა-გასწორების დაწესებულებაში შესულთა და იქედან გამოსულთა ნივთები და ტანსაცმელი“.

11. 47-ე მუხლის მეექვსე ნაწილში სიტყვები „გაზზავნონ ფულადი გზავნილებანი“ შეიცვალოს სიტყვებით „გაუზზავნონ ფულადი გზავნილებანი ნათესავენს, ხოლო შრომა-გასწორების დაწესებულების ადმინისტრაციის ნებართვით — სხვა პირებსაც“.

12. 51-ე მუხლში:

პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„იმ პირებისათვის, რომლებიც სასჯელს იხდიან შრომა-გასწორების კოლონიებსა და საპრობილებში, წესდება რვა საათიანი სამუშაო დღე. მუშაობის (ცვლის) დაწყებისა და დამთავრების დროს ადგენს შრომა-გასწორების დაწესებულებათა შინაგანაწესი. მსჯავრდებულებს ყოველკვირეულად ეძლე-

ვათ ერთი დასვენების დღე. შრომის კანონმდებლობით დადგენილი წესით სამუშაოდან ათავისუფლებენ უქმე დღეებში.

ზოგიერთი სახის სამუშაოებზე, სადაც წარმოების პირობების მიხედვით არ შეიძლება მსჯავრდებულებისათვის დადგენილი ყოველდღიური ან ყოველკვირეული სამუშაო დროის ხანგრძლივობის დაცვა. შრომის კანონმდებლობის შესაბამისად დასაშვებია სამუშაო დროის შეჯამებული აღრიცხვა იმ პირობით, რომ სამუშაო დროის საშუალო ხანგრძლივობა აღსარიცხ პერიოდში არ აღემატებოდეს დღეში რვა საათს.

გამოსასკლელ და უქმე დღეებში მსჯავრდებულების სამუშაოდ გაყვანის აუცილებლობისას მათ დაასვენებენ სხვა დღეებში თვის განმავლობაში“;

მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ნაწილები შესაბამისად ჩაითვალოს მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე და მერვე ნაწილებად.

13. 66-ე მუხლის პირველი ნაწილის მეათე აბზაცში სიტყვები „იმ მსჯავრდებულებისა“ შეიცვალოს სიტყვებით „ამ კოდექსის 41-ე მუხლის მესამე ნაწილში მითითებული მსჯავრდებულებისა“.

14. 68-ე მუხლის პირველი ნაწილის მეათე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საერთო, გაძლიერებული და მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიებში, აგრეთვე განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიების ჩვეულებრივ სადგომებში მოთავსებული მსჯავრდებულების გადაყვანა საკნის ტიპის სადგომებში ექვს თვემდე ვადით; განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიების საკნის ტიპის სადგომებში მოთავსებული მსჯავრდებულების გადაყვანა სამარტოო საკნებში ერთ წლამდე ვადით, ხოლო საპრობილეებში — მკაცრ რეჟიმში ორი თვიდან ექვს თვემდე ვადით; ამ კოდექსის 66-ე მუხლის პირველი ნაწილის მეათე აბზაცის შესაბამისად განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიების ჩვეულებრივ საცხოვრებელ სადგომებში გადაყვანილი მსჯავრდებულების დაბრუნება იმავე კოლონიის საკნის ტიპის სადგომებში“.

15. 69-ე მუხლის:

მეშვიდე და მერვე ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სასჯელის ღონისძიება საერთო, გაძლიერებული, მკაცრი და განსაკუთრებული რეჟიმის კოლონიების საკნის ტიპის სადგომებში შესახლების, აგრეთვე მკაცრი რეჟიმის კოლონიაში სამარტოო საკანში შესახლების სახით დაინიშნება ზემოქმედების სხვა ღონისძიებების წარუმატებლად გამოყენების შემთხვევებში.

მოთავსების გაუმჯობესებულ პირობებში განმეორებით გადაყვანა, ხოლო განსაკუთრებული რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიებში აგრეთვე განმეორებით გადაყვანა საკნის ტიპის სადგომებიდან ჩვეულებრივ საცხოვრებელ სადგომებში ამ კოდექსის 41-ე მუხლის მესამე ნაწილში მითითებული მსჯავრდებულებისა შეიძლება მოხდეს სასჯელის მოხდის დღიდან არა უადრეს ერთი წლის შემდეგ ან ერთ წელზე უფრო ადრეც, თუ სასჯელი, რომელმაც შეცვალა მოთავსების გაუმჯობესებული პირობები, ვადამდე იქნა მოხსნილი“.

მეცხრე ნაწილის მეორე წინადადება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
 „განსაკუთრებული რეჟიმის ჩვეულებრივ საცხოვრებელ სადგომებში მოთავსებული მსჯავრდებულების გადაყვანა იმავე კოლონიის საკნის ტიპის სადგომში ხდება შრომა-გასწორების დაწესებულების უფროსის მოტივირებული დადგენილებით, რომელიც შეთანხმებულია სამეთვალყურეო კომისიასთან; ამ კოდექსის 68-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სხვა სასჯელებს ადებს შრომა-გასწორების დაწესებულების უფროსი“.

16. 70-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „გაძლიერებული და მკაცრი“ შეიცვალოს სიტყვებით „გაძლიერებული, მკაცრი და განსაკუთრებული“.

17. XIII თავის სახელწოდება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „თავისუფლებაღკვეთილ პირთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო და სამედიცინო-სანიტარიული უზრუნველყოფა“.

18. 75-ე მუხლის:

სათაურში სიტყვები „სამედიცინო მომსახურება“ შეიცვალოს სიტყვებით „სამედიცინო-სანიტარიული უზრუნველყოფა“;

პირველი, მეორე და მესამე ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ეწყობა საჭირო სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებები, ხოლო ინფექციური სნეულებით დაავადებულ მსჯავრდებულთა მკურნალობისა და მოთავსებისათვის — შრომა-გასწორების დაწესებულებები სამკურნალო დაწესებულებათა უფლებებით.“

სამკურნალო-პროფილაქტიკური და სანიტარიულ-ეპიდემიასაწინააღმდეგო მუშაობა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ეწყობა და ტარდება ჯანმრთელობის დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების შრომა-გასწორების კანონმდებლობის საფუძვლების 37-ე მუხლის შესაბამისად თავისუფლებაღკვეთილ პირთათვის სამედიცინო დახმარების გაწევის წესს, სანიტარიული ზედამხედველობის ორგანიზაციისა და განხორციელების, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების სამკურნალო-პროფილაქტიკური და სანიტარიულ-პროფილაქტიკური დაწესებულებების გამოყენებისა და ამ მიზნით მათი სამედიცინო პერსონალის მოწვევის წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო“.

IV. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ 1984 წლის 15 დეკემბერს მიღებული საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1984 წ., № 12, მუხ. 420) 176-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



„მუხლი 176. შრომა-გასწორების დაწესებულებებში, საგამოძიებო იზოლატორებში, შრომა-აღმშრდელიობით, სამკურნალო-შრომითს და სამკურნალო-აღმშრდელიობითს პროფილაქტიკურიუმებში მოთავსებული პირებისათვის აკრძალული სავენების უკანონოდ გადაცემა.

შრომა-გასწორების დაწესებულებებში, საგამოძიებო იზოლატორებში შრომა-აღმშრდელიობითს, სამკურნალო-შრომითს და სამკურნალო-აღმშრდელიობითს პროფილაქტიკურიუმებში მოთავსებული პირებისათვის ალკოჰოლური სასმელების, გამაბრუებელი მოქმედების მქონე სამკურნალოწამლო ან სხვაგვარი ნივთიერებების, აგრეთვე გადასაცემად აკრძალული სხვა საგნების გასინჯვისაგან ფარულად გადაცემა ან ნებისმიერი საშუალებით გადაცემის მცდელობა. —

გამოიწვიოს დაჯარიმებას ოცდაათიდან ორმოცდაათ მანეთამდე ან გამასწორებელ სამუშაოებს ვადით ორ თვიმდე, ხელფასიდან ოცი პროცენტის დაქვითვით, აკრძალული საგნების კონფისკაციით.

შრომა-გასწორების დაწესებულებებში, საგამოძიებო იზოლატორებში, შრომა-აღმშრდელიობითს, სამკურნალო-შრომითს და სამკურნალო-აღმშრდელიობითს პროფილაქტიკურიუმებში მოთავსებული პირებისაგან გადასაცემად აკრძალული საგნების მიღება —

გამოიწვიეს დაჯარიმებას ოცდაათიდან ორმოცდაათ მანეთამდე, აკრძალული საგნების კონფისკაციით“.

V. ეს ბრძანებულება შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1988 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. პილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 21 დეკემბერი.

№ 1531—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

320 „სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ“ სსრ კავშირის კანონთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

„სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) შესახებ“ სსრ კავშირის კანონთან დაკავშირებით სსრ კავშირის ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბ-

ქოს პრეზიდენტის 1987 წლის 2 დეკემბრის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ საკანონმდებლო აქტებში შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ 1964 წლის 24 დეკემბერს მიღებულ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1964 წ., № 36, მუხ. 622):

1) ძალადაკარგულად ჩაითვალოს 94-ე მუხლის მეორე ნაწილი და 386-ე მუხლის მეორე ნაწილი;

2) 155-ე მუხლში:

მეორე ნაწილში სიტყვები „საგეგმო დავალების“ და „დავალებას“ შესაბამისად შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფო შეკვეთის“ და „შეკვეთას“;

3) 162-ე მუხლში:

პირველ და მეორე ნაწილებში სიტყვები „გეგმური დავალება“ შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფო შეკვეთა“;

4) 264-ე მუხლში სიტყვები „სახელმწიფო შესყიდვის გეგმებისა“ შეიცვალოს სიტყვებით „სახელმწიფოსათვის მიწოდების სახელმწიფო შეკვეთებისა“.

2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ 1964 წლის 26 დეკემბერს მიღებული საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1964 წ., № 36, მუხ. 663) 440-ე მუხლის მეორე ნაწილში სიტყვები „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო“ შეიცვალოს სიტყვებით „სსრ კავშირის კანონმდებლობა“.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ 1971 წლის 13 ივლისს მიღებული საქართველოს სსრ მიწის კოდექსის (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1971 წ., № 7, მუხ. 124) მე-11 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 11. მიწით უფასო სარგებლობა

სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევების გარდა მიწით სარგებლობა ხორციელდება უფასოდ. მიწით სარგებლობისათვის ანაზღაურების წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო“.

4. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ 1974 წლის 5 ივნისს მიღებული საქართველოს სსრ წყლის კოდექსის (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1974 წ., № 6, მუხ. 107) 27-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 27. წყლის ობიექტების სარგებლობაში გადაცემის პირობები

წყალსარგებლობა ხორციელდება უფასოდ. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წყლის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად, სსრ კავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სპეციალური წყალსარგებლობა ფასიანია. სპეციალური წყალსარგებლობისათვის ანაზღაურების წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო“.

5. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ 1976 წლის 20 ნოემბერს მიღებული საქართველოს სსრ წიაღის კოდექსის (საქართველოს სსრ უმაღლესი

საბჭოს უწყებები, 1976 წ., № 11, მუხ. 199) მე-15 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 15. წილით უფასო სარგებლობა

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების წილის კანონმდებლობის საფუძვლების შესაბამისად, სსრ კავშირის კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევების გარდა, წილით სარგებლობა ხორციელდება უფასოდ. წილით სარგებლობისათვის ანაზღაურების წესს განსაზღვრავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 21 დეკემბერი.

№ 1532—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

321 საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის კოლეგიის შემადგენის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

შეიქმნას საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის კოლეგია ხუთი კაცის შემადგენლობით:

ალექსანდრე ირაკლის ძე კავსაძე — საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრი.

ჯონი ტრიფონის ძე ჯალაღანია — საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრის პირველი მოადგილე.

პაატა გიორგის ძე გველესიანი — საქართველოს სსრ მთავარი სახელმწიფო არბიტრის მოადგილე.

ნუგზარ ივანეს ძე ბეჟიტაშვილი — საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის სამეურნეო საქმიანობაში კანონიერების დარღვევათა თავიდან აცილებისა და სახელშეკრულებო დისციპლინის დაცვისადმი კონტროლის განყოფილების გამგე.

გურგენ ვაზგენის ძე ტარახჩივი — საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის სახელმწიფო არბიტრების განყოფილების ორგანიზატორი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 24 დეკემბერი.

№ 1534—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

322 საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის სახელმწიფო არბიტრაჟის დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:
 დაინიშნონ საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის სახელმწიფო არბიტრებად:

ოთარ ქოჩორას ძე აბაზოვი,
 ნიკოლოზ ფირუზას ძე გაგევი,
 ნინო ნიკოლოზის ასული გიორგაძე,
 ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ზუევი,
 ლილი დიმიტრის ასული კორძაია,
 გრიგოლ ეზეკის ძე სვანიძე,
 ნატო ბიძინას ასული ტაბუცაძე,
 გურგენ ვაზგენის ძე ტარახჩივი,
 ამირან ბაკოს ძე ფრუიძე,
 ნიკოლოზ ამირანის ძე ფურცელაძე,
 ნატალია ავთანდილის ასული ყურაშვილი,
 თეიმურაზ შალვას ძე ცქიტიშვილი,
 კარლო კირილეს ძე ჯახუა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 24 დეკემბერი.

№ 1533—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

323 საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის შემდგომი სრულყოფის მიზნით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1964 წ., № 36, მუხ. 663) შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 106-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 106.** სასამართლო განხილვისათვის სამოქალაქო საქმეთა მომზადების და მათი განხილვის ვადები

სამოქალაქო საქმეები სასამართლო განხილვისათვის უნდა მომზადდეს კანცხადების მიღების დღიდან არაუგვიანეს ათი დღის ვადაში. გამონაკლისი

შემთხვევებში, განსაკუთრებით რთულ საქმეებზე, გარდა ამ მუხლის ნაწილში მითითებული საქმეებისა, ეს ვადა, მოსამართლის განჩინებით, შეიძლება გაგრძელდეს ოც დღემდე.

საქმეები ალიმენტების გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვაგვარი დაზიანებით, აგრეთვე მარჩენალის სიკვდილით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ და შრომითი სამართლებრივი ურთიერთობებიდან გამომდინარე მოთხოვნები, თუ მხარეები ერთ ქალაქში ან რაიონში იმყოფებიან, პირველი ინსტანციის სასამართლომ უნდა განიხილოს არაუგვიანეს ათი დღისა, ხოლო სხვა შემთხვევებში — არაუგვიანეს ოცი დღისა სასამართლო განხილვისათვის საქმის მომზადების დამთავრების დღიდან.

დანარჩენი სამოქალაქო საქმეები განხილულ უნდა იქნეს არაუგვიანეს ერთი თვისა სასამართლო განხილვისათვის საქმის მომზადების დამთავრების დღიდან“.

2. 222-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-6 პუნქტი:

„6) თუ სასამართლომ ამ კოდექსის 56-ე მუხლის შესაბამისად სხვა ქალაქში ან რაიონში გაგზავნა სასამართლო დავალება“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 25 დეკემბერი.

№ 1535—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

324 ამხ. ამხ. გ. ა. ტურაშვილისა და ა. გ. წაბრიას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებად არჩევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

არჩეულ იქნენ ამხ. ამხ. გულდარ არსენის ძე ტურაშვილი და ალექსი ბაჯგოს ძე წაბრია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრებად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 31 დეკემბერი.

№ 1558—XI

ბანუოფილება მეორე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

325 ამხ. რ. ს. ელიგულაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ოთხმოც წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს რწმუნებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან ამხ. რაფიელ-სიმონის ძე ელიგულაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 2 დეკემბერი.

№ 1518—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

326 ამხ. ვ. ზ. მირიანაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

მშენებლობისა და არქიტექტურის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. გურამ ზაალის ძე მირიანაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 4 დეკემბერი.

№ 1521—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

327 ამხ. მ. ი. წიკლაურის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარ-

ტის ცენტრალური კომიტეტის მელორაციისა და წყალთა მეურნეობის
ყოფილების გამგე ამხ. მიხეილ ივანეს ძე წიკლაური დაჯილდოვდეს საქართვე-
ლოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელიძე.

თბილისი, 1987 წლის 14 დეკემბერი.

№ 1524—XI

საპარტიველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

328 ამხ. ნ. ა. შვანიას საპარტიველოს სსრ უმაღლესი საბ-
ჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო და კომკავშირულ ორგანოებში ხანგრძ-
ლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო
საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ნინო აქესენტის ასული
ევაია დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელიძე.

თბილისი, 1987 წლის 21 დეკემბერი.

№ 1530—XI

საპარტიველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

329 საპარტიველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს
ბ. მ. ნათაძის სახელობის სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნიერ-
ო-კვლევითი ინსტიტუტის საპარტიველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ჰიგიენის მეცნიერების განვითარებაში წვლილის, მალალკვალიფიციური
კადრების მომზადებისათვის და დაარსების 60 წლისთავთან დაკავშირებით
საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ბ. მ. ნათაძის სახე-
ლობის სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი დაჯილ-

დოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 25 დეკემბერი.

№ 1537—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

330 ამხ. თ. ვ. გოგუაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და პროფკავშირულ ორგანოებში ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს პროფსაბჭოს საზღვარგარეთ საბჭოთა ტურიზმის განყოფილების გამგე ამხ. თენგიზ ვახტანგის ძე გოგუაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 25 დეკემბერი.

№ 1538—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

331 ამხ. ტ. ე. მონიავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით წულუკიძის სახალხო დემუტატ-თა რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ტარიელ ერმილეს ძე მონიავა დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 25 დეკემბერი.

№ 1536—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

332 ამხ. ნ. ი. ქოქიაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების ინსპექტორი ამხ. ნოდარ ილიას ძე ქოქიაშვილი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრნი პ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 25 დეკემბერი.

№ 1540—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

333 ამხ. გ. ვ. ჩხაიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების ინსპექტორი ამხ. გივი ერმალოს ძე ჩხაიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრნი პ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 25 დეკემბერი.

№ 1539—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

334 ენგურჰიმს-სტავროპოლსკისის 500 კვ მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის აღდგენისას განსაკუთრებით თავგამოჩენილი მუშაკების საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ენერგეტიკული მშენებლობის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და სტიქიისაგან დაზიანებული ენგურჰიმს-სტავროპოლსკისის 500 კვ

კვ მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის აღდგენის სამუშაოთა განხორციელებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ:

მიხეილ ვასილის ძე გოცირიძე — ტრესტ „კავკასელექტროქსელმშენის“ მექანიკური კოლონა-8-ის უფროსი.

ელიზბარ ლევანის ძე ერისთავი — ინსტიტუტ „ენერგოქსელპროექტის“ საქართველოს განყოფილების დირექტორი.

იური ნოდარის ძე ზივზივაძე — ტრესტ „კავკასელექტროქსელმშენის“ მექანიკური კოლონა-1-ის ელექტროგადამცემი ხაზების მშენებელი.

ალექსანდრე შალვას ძე იმნაიშვილი — ტრესტ „კავკასელექტროქსელმშენის“ მთავარი ინჟინერი.

ზაურ ივანეს ძე კაკაურიძე — ტრესტ „კავკასელექტროქსელმშენის“ მექანიკური კოლონა-1-ის ელექტროგადამცემი ხაზების მშენებელი.

იური პეტრეს ძე მაჭარაშვილი — ტრესტ „კავკასელექტროქსელმშენის“ მექანიკური კოლონა-1-ის ელექტროგადამცემი ხაზების მშენებელი.

ზაურ ალექსანდრეს ძე სანიკიძე — ტრესტ „კავკასელექტროქსელმშენის“ მექანიკური კოლონა-1-ის უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი.

ვიტალი სიმონის ძე სვანიძე — სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტროს სამმართველო „ჰიდროსპეცმშენის“ სამუშაოთა მწარმოებელი.

კაცია დიმიტრის ძე ცინცაძე — სამმართველო „საქმთავარენერგოს“ მაღალვოლტიანი ქსელების ელექტროქსელის საწარმოს დირექტორი.

დავით გიორგის ძე წიქორიძე — ტრესტ „კავკასელექტროქსელმშენის“ მექანიკური კოლონა-1-ის უფროსის მოადგილე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 30 დეკემბერი.

№ 1559—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

335 საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

შინაგან საქმეთა ორგანოებში ნაყოფიერი მუშაობისათვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდნენ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკები:

ალექსანდრე ზოლოტინსკის ძე ანკვაბი — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიტგანყოფილების უფროსი.

მერაბ ნიკოლოზის ძე ბერიაშვილი — თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის წინაგან საქმეთა სამმართველოს ოცეულის მეთაურის თანაშემწე.

პლატონ ბორისის ძე ბოკორიშვილი — ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის წინაგან საქმეთა სამმართველოს მილიციელი.

სერგო პეტრეს ძე გაბარავეი — ცხინვალის წინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების მილიციელი.

შოთა ვარლამის ძე გორგოძე — საქართველოს სსრ წინაგან საქმეთა მინისტრი.

ანზორ მოედინის ძე ლორთქიფანიძე — ბათუმის წინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების ასეულის უფროსი.

ვარლამ ივანეს ძე შადური — საქართველოს სსრ წინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე.

ალექსი ჯოტოს ძე ცუგბა — გუდაუთის წინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებასთან არსებული არასაუწყებო დაცვის განყოფილების უფროსი სერჟანტი.

ბადურ კონსტანტინეს ძე ჭანტურიშვილი — საქართველოს სსრ წინაგან საქმეთა სამინისტროს სოციალისტური საკუთრების დატაცებებსა და სპეკულაციასთან ბრძოლის სამმართველოს უფროსი.

მამია ეგნატეს ძე ჯაფარიძე — საქართველოს სსრ წინაგან საქმეთა სამინისტროს საგამოძიებო სამმართველოს უფროსი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 30 დეკემბერი.

№ 1552—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

336 ანხ. ბ. ჯ. მახარაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კულტურის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით აჭარის ასსრ კულტურის მინისტრი ანხ. ბიძინა ჰაიდარის ძე მახარაძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 30 დეკემბერი.

№ 1546—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

337 ამხ. ჯ. ზ. მხეიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სამეურნეო და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის მშენებლობის განყოფილების გამგე ამხ. ჯუანშერ გორგის ძე მხეიძე დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 30 დეკემბერი.
№ 1547—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

338 ამხ. გ. ზ. ნაფხუბიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებსა და პრესაში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის და დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით საქმთავლიტის უფროსის პირველი მოადგილე ამხ. გიორგი ბაგრატიის ძე ნაყუბია დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 30 დეკემბერი.
№ 1548—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კრეზიდუმიზის ბრძანებულება

339 ამხ. ი. ბ. ჩადუნელის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კრეზიდუმიზის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობისათვის ამხ. იორამ გაბრიელის ძე ჩადუნელი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმიზის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმიზის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმიზის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 30 დეკემბერი.

№ 1549—X1

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კრეზიდუმიზის ბრძანებულება

340 მცირე სიმლაპრის ელექტრული მანქანების ტექნოლოგიის საპატიო სამეცნიერო-კვლევითი საკრედიტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა მიანიჭების შესახებ

ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის, პროგრესული ტექნოლოგიური პროცესების უზრუნველყოფის დარგში პრობლემათა გადაწყვეტაში პირადი წვლილისა და მანქანათმშენებელი საწარმოებისათვის მაღალმწარმოებლური სპეციალური ტექნოლოგიური მოწყობილობის შემუშავებისათვის მცირე სიმლაპრის ელექტრული მანქანების ტექნოლოგიის საკრედიტო სამეცნიერო-კვლევითი საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტის მუშაკებს მიენიჭოთ საპატიო წოდება:

„საქართველოს სსრ მრეწველობის დამსახურებული მუშაკი“

ნოდარ გრიგოლის ძე ბერაძეს — მღარავს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული კონსტრუქტორი“

თენგიზ პროკოფის ძე ახალაძეს — პროექტის მთავარ კონსტრუქტორს.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ტექნოლოგი“

კარლენ არმენაკის ძე აკუნცს — განყოფილების გამგეს.

ედუარდ გალაქტიონის ძე გერსამიას — დირექტორის მოადგილეს სამეცნიერო მუშაობის ნაწილში.

„საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი“

გიზო თევდორეს ძე დოლიძეს — განყოფილების გამგეს.
 თენგიზ გრიგოლის ძე ზედგინიძეს — განყოფილების გამგეს.
 გიორგი შალვას ძე კაჭარავას — მთავარ სპეციალისტს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 4 დეკემბერი.

№ 1520—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

341 მედიცინის მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ მეცნიერების
 დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდების მინიჭების უა-
 ნახეზ

ხანგრძლივი წყაფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისა და მალალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებისათვის მიენიჭოთ „საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდება:

რუსუდან გრიგოლის ასულ აბდუშელიშვილს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს აკადემიკოს გ. მ. მუხაძის სახელობის პემატოლოგიისა და სისხლის გადასხმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელს.

ეთერ შალვას ასულ ბოცვაძეს — თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგეს.

შოთა იონას ძე შურღაიას — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული IV მთავარი სამმართველოს სავადმყოფო-პოლიკლინიკის თერაპევტს — მთავარ სპეციალისტს.

ალექსანდრე ივანეს ძე ჩუბინიძეს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ნევროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის ხელმძღვანელს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1987 წლის 25 დეკემბერი.

№ 1542—XI

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით

342 მედიცინის მუშაკებისათვის „საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის“ საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

მედიცინის დარგში ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ საპატიო წოდება „საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი“:

გიული რაფიელის ძე გიგიაძეს — პროფკავშირთა წყალტუმბოს საკურორტო საბჭოს სანატორიუმ „თბილისის“ მთავარ ექიმს.

მანანა აბოლონის ასულ გოგოლაძეს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული IV მთავარი სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკის კარდიოლოგიის განყოფილების გამგეს.

ოლა პოლიკარბეს ასულ გრიგოლაშვილს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული IV მთავარი სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკის ექიმ-პედიატრს.

ნინო კაპიტონის ასულ დევდარიანს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული IV მთავარი სამმართველოს საავადმყოფო-პოლიკლინიკის ექიმ-სტომატოლოგს.

ალექსანდრე გრიგოლის ძე ეგოროვს — დიდი სამამულო ომის ინვალიდთა რესპუბლიკური ჰოსპიტლის ექიმ-ორდინატორს.

ნიკოლოზ გრიგოლის ძე ემუხვარს — აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკური საავადმყოფოს ქირურგს.

